საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

Georgian National Academy of Sciences

# Diploma

of

## Foreign Membership

The Georgian National Academy of Sciences

Elected

Professor

## Jamil Aliev

(Oncology)

A

Foreign Member of the Academy

and

in Testimony thereof have affixed their Seal to this

## Certificate

and caused the same to be duly attested, this twenty ninth day of June in the year Two thousand ten.

Th. Gamkrelidze

Thomas V. Gamkrelidze

President

Tbilisi, Georgia

# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 15 ივლისი, 2010 წელი. №132 (6498)

ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის

№ 132. ხუთშაბათი. 15 ივლისი. 2010 წელი.


წვლილი და აღიარება

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ახალი უცხოელი წევრები შეემატნენ



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

**მიმდინარე წლის 29 ივნისს შედგა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება, რომელმაც აირჩია აკადემიის უცხოელ წევრებად მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერები:**

ისააკ ელიშაკოვი, ატლანტის უნივერსიტეტის პროფესორი (აშშ) (გამოყენებითი მექანიკა); ხოშბახთ ბაგი ოღლი იუსიფზადე, აზერბაიჯანის ნაციონალური აკადემიის აკადემიკოსი (გეოლოგია, ნავთობი და გაზი); **ანდრიუ კროპინსკი**, ონტარიოს (კანადა) უნივერსიტეტის პროფესორი (მიკრობიოლოგია, მოლეკულური ბიოლოგია); ჯამილ ალიევი, აზერბაიჯანის ნაციონალური აკადემიის აკადემიკოსი (ონკოლოგია); **სტივენ ჯონსი**, მაუნტ ჰოლიოკის (აშშ) კოლეჯის პროფესორი (პოლიტოლოგია და სოციოლოგია); ჰაჯი გამზატოვი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, დაღესტნის სამეცნიერო ცენტრის პრეზიდიუმის თავმჯდომარე (ლიტერატურათმცოდნეობა).

**ამ დღეებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის თამაზ გამყრელიძის სახელზე ჯამილ ალიევისა და ჰაჯი გამზათოვის სამადლობელი წერილები მოვიდა, რომელთაც ქვემოთ გთავაზობთ.**

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს თ. ვ. გამყრელიძეს

დიდად პატივცემულო თამაზ ვალერიანის ძევ!

უწინარეს ყოვლისა, მიიღეთ ჩემი ჭეშმარიტი მადლობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად, აკადემიკოსად ჩემს არჩევასთან დაკავშირებით.

დიდად აღფრთოვანებული ვარ ამ მნიშვნელოვანი მოვლენით ჩემს ცხოვრებაში, გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, გადასცეთ გულითადი მადლობა აკადემიის ყველა წევრს ჩემი მხარდაჭერისთვის. ამ მაღალ წოდებას ყოველთვის მივიჩნევ ერთ-ერთ ყველაზე საპატიო ჯილდოდ ჩემს სამეცნიერო საქმიანობაში და აღვიქვამ ამას, როგორც ავანსს აქტუალური ინოვაციური სამეცნიერო კვლევების გაღრმავებისთვის, რომლებიც სასარგებლოდ დაინერგება როგორც ჩვენს ქვეყნებში, ისე მათ ფარგლებს გარეთ, ხელს შეუწყობენ ხალხის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და კეთილდღეობის განმტკიცების საქმეს.

ჩვენში, აზერბაიჯანში, მაღალ შეფასებას აძლევენ ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის მრავალსაუკუნოვან მეგობრულ ურთიერთობას, ურთიერთდახმარებას და თანამშრომლობას, რაც უფრო მეტად განმტკიცდა უკანასკნელ ხანებში ჩვენი სახელმწიფოების ორი ხელმძღვანელის, დიდად პატივცემული ილჰამ ალიევისა და მიხეილ სააკაშვილის ძალისხმევით. სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს ურთიერთობანი ვითარდება პრაქტიკულად მეცნიერების ყველა სფეროში, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვაში.

საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია, რომელიც ტრადიციულად ითვლებოდა სამეცნიერო აზრის კერად, დღეს ქვეყნის საუკეთესო სამეცნიერო ძალებს აერთიანებს. მთელი მსოფლიოსთვის არის ცნობილი გამოჩენილი ქართველი აკადემიკოსების სახელები, რომლებმაც არსებითი წვლილი შეიტანეს ცოდნის მსოფლიო საგანძურში. ეროვნული აკადემიის დამსახურებანი მეცნიერებისა და ქვეყნის წინაშე ფასდაუდებელია, ჩვენ ვამაყობთ აქ თავმოყრილი საქართველოს უდიდესი ინტელექტუალური პოტენციალით, რომელიც კიდევ ბევრ რამეს შესძენს მსოფლიო მეცნიერების განვითარებას.

ღრმად პატივცემულო თამაზ ვალერიანის ძევ!

ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ მოგახსენოთ მადლობა ჩემთვის გაწეული უმაღლესი ღირსებისთვის — ვიყო საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრი და გამოვთქვა მომავალი ნაყოფიერი თანამშრომლობის იმედი.

*მარად თქვენი*
**ჯამილ ალიევი,**
*აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, აზერბაიჯანის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიისა და რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.*

**Президенту**
**Национальной Академии Наук Грузии**
**Академику Гамкрелидзе Т.В.**

**Глубокоуважаемый Тамаз Валерианович!**

**Прежде всего, примите искреннюю признательность в связи с моим избранием иностранным членом - академиком Национальной Академии Наук Грузии.**

**Будучи глубоко тронут этим знаменательным событием в моей жизни, прошу Вас, господин Президент, передать сердечную благодарность за поддержку всем членам Академии. Это высокое звание я всегда буду считать одной из самых почетных наград в моей научной деятельности и воспринимаю это, как аванс для углубления актуальных инновационных научных исследований, которые будут с пользой внедрены как в наших странах, так и далеко за их пределами, будут способствовать укреплению здоровья и благосостояния людей.**

**У нас в Азербайджане высоко ценят многовековые отношения дружбы, взаимопомощи и сотрудничества между нашими странами и народами, еще более скрепленные в последнее время двумя руководителями наших государств - глубокоуважаемыми Ильхамом Алиевым и Михеилом Саакашвяли. После обретения государственной независимости эти отношения развиваются практически во всех сферах науки, включая и здравоохранение.**

**Национальная Академия Наук Грузии, традиционно являясь очагом научной мысли, объединяет сегодня лучшие научные силы страны. Всему миру известны имена выдающихся грузинских академиков, вносящих существенный вклад в мировую сокровищницу знаний. Заслуги Национальной Академия перед наукой и страной неоценимы, мы гордимся сосредоточенным здесь огромным интеллектуальным потенциалом Грузии, который еще многое даст для развтия мировой науки.**

**Глубокоуважаемый Тамаз Валерианович!**

**Позвольте мне еше раз поблагодарить Вас за оказанную мне честь быть избранным членом Национальной Академии Наук Грузии и выразить надежду на дальнейшее плодотворное сотрудничествно.**

**Искренне Ваш** **Джамиль Алиев**

**Генеральный директор**
**Национального центра онкологии**
**Министерства здравоохранения**
**Азербайджанской Республики**
**Академик НАНА и РАМН**
**07.07.2010**

---

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს თ. ვ. გამყრელიძეს

დიდად პატივცემულო და ძვირფასო თამაზ ვალერიანის ძევ!

უსაზღვროდ მოხარული ვარ ასეთი მოულოდნელი და უკიდურესად კეთილი და სასიამოვნო ცნობის მიღების გამო — ჩემი საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად არჩევასთან დაკავშირებით. მოხიბლული ვარ ხაზგასმული ყურადღებით და ჭეშმარიტად მაღალი აღიარებით ჩემი უმნიშვნელო წვლილის გამო მოძმე საქართველოს ბრწყინვალე აკადემიური მეცნიერების წინაშე. განსაკუთრებით მადლობელი ვარ პირადად თქვენი, მეცნიერებისა და კულტურის უდიდესი მოღვაწისა, მსოფლიო კლასის მეცნიერისა, ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისა, რომლის წინაშეც ბედის ნებით აღმოვჩნდი მუდმივ და აუნაზღაურებელ ვალში.

დასასრულ, ნებას ვაძლევ ჩემ თავს, თქვენი მაღალი გადაწყვეტილება მივაკუთვნო დაღესტნისა და საქართველოს ტრადიციულ პატივსაცემ და მეგობრულ ურთიერთობებს.

*ყველაზე კეთილი გრძნობებითა და საუკეთესო სურვილებით*

**ჰაჯი გამზათოვი,**
*რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.*

**Глубокоуважаемый и дорогой**
**Тамаз Валерианович!**

**Бесконечно рад столь неожиданной и чрезвычайно доброй и приятной вести об избрании меня в иностранные члены Национальной академии наук Грузии. Польщен подчеркнутым вниманием и поистине высоким признанием моих скромных заслуг перед блистательной академической наукой братской Грузии. Особая благодарность лично Вам, крупнейшему деятелю науки и культуры, ученому мирового класса, президенту Национальной академии наук, перед которым по воле судьбы я оказываюсь в постоянном и неоплатном долгу.**

**В заключение смею отнести Ваше высокое решение за счет традиционно уважительных и дружественных взаимоотношений Дагестана и Грузии.**

**С самыми добрыми чувствами и наилучшими пожеланиями.**

**Академик РАН и**
**академик НАНГ**
**Г.Г. Гамзатов**